

## თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

### ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახური

ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ძირითადი დანიშნულებაა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი. აღნიშნულის რეალიზაციის მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა კვლევები ხარვეზების გამოსავლენად, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

2017-2018 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ პროგრამების შეფასება;

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასება;

სერვისების შეფასება;

ინტერნაციონალიზაციის პროცესის და შედეგების შეფასება;

სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება;

პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის;

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ად კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასება;

სხვა, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებითა და შეფასების წესებით“ გათვალისწინებული აქტივობები.

*კვლევების შედეგად დაწესებულებაში სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის რეაგირებას და ოპერატიულად გადაწყვეტას.*

აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამების შეფასების ანალიზმა აჩვენა, რომ:

სამართლის სკოლის სამი საგანმანათლებლო პროგრამიდან ორში - სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამებში - გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. კერძოდ: 1) სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო მასალა საჭიროებს გადახედვას და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე სასურველია გადაიხედოს პროგრამის კომპონენტები მათი პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევის პოტენციალის გადასამოწმებლად; 2) სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო მასალა შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, თავის მხრივ პროგრამის სწავლის შედეგები ბაზრის მოთხოვნებთანაა შესაბამისობაში მოსაყვანი, ამასთან გადასახედია შეფასების მეთოდები.

ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლის ოთხი პროგრამიდან სამი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო, ტურიზმის და მასპინძლობის საბაკალავრო, გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამები - გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებენ. კერძოდ: 1) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, ასევე სასურველია გადაიხედოს პროგრამის კომპონენტები მათი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების პოტენციალის გადასამოწმებლად; 2) ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები მოსაყვანია შესაბამისობაში ფორმალურ მოთხოვნებთან; 3) გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის (სატრანსპორტო ლოჯისტიკა) საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო მასალა საჭიროებს გადახედვას და პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას, აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება, მოსაზიდა მალაკვალიფიციური პერსონალი.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები საჭიროებენ შემდეგი სახის ცვლილებებს: 1) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, ასევე სასურველია გადაიხედოს პროგრამის კომპონენტები მათი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების პოტენციალის გადასამოწმებლად, გადასახედია შეფასების მეთოდებიც; 2) გადასახედია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა, ამასთან, დასადგენია, რამდენად შეესაბამება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა პროგრამის სწავლის შედეგებს და რამდენად სწორად აქვს პროგრამის ცალკეულ კომპონენტებს მინიჭებული კრედიტი; 3) საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები დასაკორექტირებელია, რათა ისინი სრულ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ კვალიფიკაციათა აღმწერთან და უზრუნველყოფილ იქნას სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა, აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება, ასევე შესამოწმებელია, რამდენად რელევანტურია პროგრამის შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

სტუდენტთა მიერ პროგრამების შეფასების ანალიზმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები საჭიროებენ ცვლილებების განხორციელებას:

ბიზნესის სადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა):

1. გასამრავალფეროვნებელია სასწავლო მასალა;

2. მოსაზიდა მალაკვალიფიციური პერსონალი.

ბიზნესის სადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა):

1. გასაუმჯობესებელია სასწავლო რესურსი;
2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
3. უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა.

ფინანსები და საბანკო საქმე (საბაკალავრო პროგრამა):

1. შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის მიზნები და შედეგები;
2. დასახვეწია სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია;
3. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება;
4. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი (საბაკალავრო პროგრამა):

1. პროგრამა (მიზნები და შედეგები, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია, სასწავლო რესურსი და სხვ.) საჭიროებს გაუმჯობესებას;
2. მოსაზიდა მალაკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

საგაადასახადო-საბაჟო საქმე (საბაკალავრო პროგრამა):

1. გადასახედა პროგრამის სწავლის შედეგები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა და დასახვეწია სწავლების მეთოდოლოგია;
2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
3. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (სატრანსპორტო ლოჯისტიკა) (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები - ნათლად არის ჩამოსაყალიბებული, ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია ისინი მოსაყვანი;
2. უზრუნველსაყოფია სწავლის შედეგების მიღწევა და სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა (დასახვეწია სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია, გასახლებელია სასწავლო რესურსი და სხვ.);
3. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
4. აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება.

კომპიუტინგი-ინფორმატიკა (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები - ურთიერთშესაბამისობაში და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია ისინი მოსაყვანი, უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;

2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და დასადგენია, რამდენად სწორად აქვს პროგრამის ცალკეულ კომპონენტებს მინიჭებული კრედიტი;
3. დასახვეწია სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია, ასევე გადასახალისებელია სასწავლო მასალა;
4. მოსაზიდაია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

ქურნალისტიკა (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები - ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი, ურთიერთშესაბამისობაში და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია ისინი მოსაყვანი, უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;
2. უზრუნველსაყოფია როგორც პროგრამის კომპონენტების, ისე სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან;
3. აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება;
4. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და დასადგენია, რამდენად სწორად აქვს პროგრამის ცალკეულ კომპონენტებს მინიჭებული კრედიტი.

ინგლისური ფილოლოგია (საბაკალავრო პროგრამა):

1. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი;
2. დასახვეწია შეფასების მეთოდები და უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (საბაკალავრო პროგრამა):

1. გადასახედაია პროგრამის სწავლის შედეგები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;
2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

საერთაშორისო ურთიერთობები (საბაკალავრო პროგრამა):

1. აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება;
2. დასახვეწია შეფასების მეთოდოლოგია.

საერთაშორისო ურთიერთობები (სამაგისტრო პროგრამა):

1. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთშესაბამისობაშია მოსაყვანი;
2. დასახვეწია სწავლების და შეფასების მეთოდები და უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;
3. მოსაზიდაია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

სისხლის სამართალი (სამაგისტრო პროგრამა):

1. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი, სწავლის შედეგები ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი;
2. მოსაზიდაია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
3. სასწავლო მასალა უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;
4. ამა თუ იმ კომპონენტისათვის მინიჭებული კრედიტი უნდა იყოს ოპტიმალური.

ბიზნეს სამართალი (სამაგისტრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები - ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია ისინი მოსაყვანი, უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;
2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
3. დასახვეწია შეფასების მეთოდები;
4. მოსაზიდაია მაღალკვალიფიციური პერსონალი.

სამართალმცოდნეობა (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები - ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი, ურთიერთშესაბამისობაში და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლა;
2. მოსაზიდაია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
3. შეფასების მეთოდები და სასწავლო მასალა უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

1. პროგრამა მეტად უნდა იყოს ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და, ამ მიზნით, უნდა გაძლიერდეს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი;
2. დასახვეწია სწავლების მეთოდები;
3. გასაძლიერებელია ინგლისური ენის კომპონენტი.

სამართლის სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

1. პროგრამა მეტად უნდა იყოს ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და, ამ მიზნით, უნდა გაძლიერდეს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი;
2. დასახვეწია სწავლების მეთოდები;
3. გასაძლიერებელია ინგლისური ენის კომპონენტი.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

1. პროგრამა მეტად უნდა იყოს ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და, ამ მიზნით, უნდა გაძლიერდეს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი;
2. დასახვეწია სწავლების მეთოდები;
3. გასაძლიერებელია ინგლისური ენის კომპონენტი;
4. გასამდიდრებელია ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფორნდი.

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები მეტად უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე, როგორცაა უცხო ენების (რუსული და ინგლისური) ცოდნა, საოფისე პროგრამების ცოდნა, პრაქტიკული უნარების ფლობა, საპრეზენტაციო და სხვა საკომუნიკაციო უნარების ფლობა, ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარის ფლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია პროგრამებში გაძლიერდეს უცხო ენის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციების კომპონენტების სწავლება, გაიზარდოს პრაქტიკული უნარებისა და სწავლის უნარის განმავითარებელი აქტივობების ხვედრითი წილი პროგრამებში.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მისაღები კონტინგენტის დაგეგმვა განხორციელდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
3. გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი.

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების ანალიზმა გამოკვეთა ერთობლივი პროგრამების დანერგვის საჭიროება, ხოლო პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების ანალიზმა გამოკვეთა საერთაშორისო მობილობის სხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი შეთავაზებების გაზრდის აუცილებლობა, ამასთან, ორივე შემთხვევაში იკვეთება საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის გაძლიერების მოთხოვნა.

სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისათვის ლაბორატორიის აღჭურვა;
2. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამრავალფეროვნება, მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენების გაუმჯობესება;
3. უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება;
4. შეფასების მეთოდების სრულყოფა, მათ შორის სამართლის მიმართულების პროგრამებში კაზუსების ამოხსნის მეთოდის გამოყენების ინტენსივობის გაზრდა;
5. დასკვნით გამოცდებს შორის ინტერვალის გაზრდა.

სტუდენტების და პერსონალის მიერ სერვისების (მ.შ. საბიბლიოთეკო) შეფასების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი:

1. საჭიროა, დაიხვეწოს (აკადემიური რეგისტრაციის შეუფერხებლად გავლა) და უფრო ინფორმაციული გახდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა (ფინანსური მოდულის დამატება), დროულად აისახოს მასში ინფორმაცია (შეფასების შედეგები), ხოლო IT სამსახურმა ყოველთვის დროული რეაგირება უნდა მოახდინოს პრობლემებზე და ოპერატიულად აღმოუჩინოს დახმარება სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;
2. სასურველია, შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი გახდეს უნივერსიტეტის კაფეტერიით სარგებლობა;
3. სასურველია, გაიზარდოს დაცვის სამსახურის წარმომადგენელთა რაოდენობა;
4. საჭიროა, დაიხვეწოს საფინანსო სამსახურის მომსახურების ხარისხი და აღმოიფხვრას სტუდენტებთან კომუნიკაციის პრობლემა;
5. ელექტრონული სამეცნიერო ბაზების პოპულარიზაცია, მათი პრაქტიკული გამოყენების მაჩვენებლის გაზრდა და ამისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება;
6. ფონდებისა და კოლექციების გამრავალფეროვნება;
7. წიგნების ეგზემპლარების რაოდენობის გაზრდა ან ელექტრონული შიდა საბიბლიოთეკო პროგრამის ინტენსიურად ამუშავება;
8. ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცის გაზრდა და კომპიუტერული ტექნიკის დამატება.

უნივერსიტეტის სკოლების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ანალიზის მიხედვით გამოვლინდა, რომ რამდენიმე მაჩვენებელი საჭიროებს გაუმჯობესებას.

მედიცინის სკოლა:

1. საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის სემინარებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა;
2. სამეცნიერო ნაშრომების უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლის გაზრდა;

3. პერსონალის ეროვნულ და უცხოურ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა.

ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლა:

1. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებების მაჩვენებლის გაზრდა;
2. საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა:

1. სასწავლო პროცესში სიახლეებისა და ნოვატორული მიდგომების დანერგვის მაჩვენებლის გაზრდა;
2. სამეცნიერო ნაშრომების უცხოურ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლის გაზრდა;
3. საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის სემინარებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა;
4. ეროვნულ და უცხოურ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა.

სამართლის სკოლა:

1. მაღალრეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლის გაზრდა;
2. საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის სემინარებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა;
3. ეროვნულ და უცხოურ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა.

უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ამაღლების აუცილებლობა. სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის გააქტიურების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა სტუდენტებისათვის აქტუალური და მრავალფეროვანი კვლევითი თემატიკის შეთავაზება, სრულდენტთა კვლევითი უნარების განვითარება და მათი მოტივაციის ამაღლება.

შრომის ბაზრის კვლევის, ასევე სტუდენტთა, კურდსამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა უნივერსიტეტის ორი მიმართულებით გააქტიურების აუცილებლობა. პირველი მიმართულებაა საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგება, ასევე რიგი ღონისძიებების განხორციელება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურდსამთავრებულების დასაქმებისთვის და კარიერული ზრდისათვის აუცილებელი ზოგადი უნარჩვევების განვითარების მიზნით. მეორე მიმართულებაა ინტენსიური კომუნიკაციის განხორციელება დამსაქმებლებთან და სტუდენტს/კურდსამთავრებულსა და დამსაქმებელს შორის შუამავალი როლის ფუნქციის შესრულება.

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა:

1. სწავლებისა და შეფასების მეთოდების ტრენინგის ჩატარების აუცილებლობა;
2. დროის მენეჯმენტის ტრენინგის ჩატარების აუცილებლობა;



3. კონტროლის გამკაცრების აუცილებლობა სასწავლო პროცესის სილაბუსით დაგეგმილთან თანხვედრის უზრუნველყოფის მიზნით;
4. დისციპლინის ასამაღლებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

სკოლების მიხედვით უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების (GPI) მდგომარეობის კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა. ესენია:

1. უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება;
2. შეფასების გამკაცრება;
3. საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდა.

სკოლების მიხედვით გაუსის განაწილების დიაპაზონის ანალიზმა აჩვენა, რომ სამართლის, ბიზნესის და ინჟინერიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლებში განსახორციელებელია რიგი ცვლილებები როგორც საგანმანათლებლო პროგრამებში, ისე პროგრამების განმახორციელებელთა კორპუსში. კერძოდ, გადასახედია:

1. პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები;
2. პროგრამების კომპონენტები;
3. სასწავლო კურსების შინაარსი, საათების განაწილება, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები;
4. სასწავლო კურსების პრერეკვიზიტები;

ამასთანავე, საჭიროა მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა, არსებული პერსონალის გადამზადება (სადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია).

SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის სუსტი მხარეებია:

1. სამეცნიერო საქმიანობის არადაამაკმაყოფილებელი დონე, რაც წახალისების და ხელშეწყობის მეტად ეფექტური მექანიზმების დანერგვას ითხოვს;
2. ახალი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეები;
3. უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიმწირე;
4. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ხარვეზები.

## ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციალის შეფასება პროგრამის უზრუნველყოფის ადამიანური და სხვა რესურსების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გათვალისწინებით და აღნიშნულის საფუძველზე მოხდეს პროგრამების მოდიფიცირება/გაუქმება;
2. საგანმანათლებლო პროგრამებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს უცხო ენისა და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტების/აქტივობების გაძლიერებაზე, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების განმტკიცებაზე, სასწავლო მასალის სწავლის შედეგებთან რელევანტურობის უზრუნველყოფაზე;
3. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების სრული შესაბამისობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ კვალიფიკაციათა აღმწერთან და სხვა ფორმალურ მოთხოვნებთან;
4. გატარდეს კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული (მ.შ. უცხოელი) პერსონალის მოზიდვაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
5. გატარდეს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პედაგოგიური კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
6. განხორციელდეს სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი აქტიურობის, მ.შ. საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის, წახალისებაზე ორიენტირებული ქმედებები;
7. გატარდეს საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესებაზე (მ.შ. საბიბლიოთეკო რესურსის გამდიდრება) ორიენტირებული ღონისძიებები;
8. გატარდეს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
9. გატარდეს ღონისძიებები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწის უზრუნველსაყოფად;
10. შემუშავდეს და დაინერგოს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;
11. განხორციელდეს პერსონალის საერთაშორისო მობილობის სხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
12. განხორციელდეს სასწავლო პროცესზე დაკვირვების მექანიზმის ეფექტურად გამოყენება;
13. განხორციელდეს დამსაქმებლებთან ურთიერთსასარგებლო კომუნიკაციის გააქტიურება;
14. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მოხდეს შესაბამისი ლაბორატორიის აღჭურვა;
15. მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას, სხვა ასპექტებთან ერთად, მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;
16. გადაიხედოს უნივერსიტეტის სამტატო ერთეულების ნუსხა და უზრუნველყოფილ იქნას სტრუქტურული ერთეულების ოპტიმალურად დაკომპლექტება (სასურველია, გაიზარდოს დაცვის სამსახურის წარმომადგენელთა რაოდენობა).